

სასოფლო-გზეთი



გზეთის ფასი:

მესამე წელიწადი

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისის „სასოფლო-გზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის ქ. კაპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, თ. ბუბუთაიის სახლში, პოლიციის გვერდით.
 თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Внѣдѣлье, въ конторѣ редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕ-ТЫ“, при типографіи Меликова и К-и

ბამოლის შობათობით.

ყოველ გვერდს განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოგზავნოს გზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, მელიქიშვილის ქ. კაპ. სტამბაში.

№ 10. შობათი.

III.

6 ივნისი, 1870 წ.

შინაარსი.

— მამასახლისი არ უნდა გავერიოს სოფლის სასამართლო საქმეში. — ამხანაგობის ძალა. — შინაგანი ამბები. — მიხიყიდვანი. — შარლოდგანი. — სამეცნიერო ნაწილი: რა არის ქიმაა. — საექიმო ნაწილი: წითელი. — სხვა და სხვა უმბავი. — მიბლიოგრაფიული ცნობა.

მამასახლისი არ უნდა გავერიოს სოფლის სასამართლოს საქმეებში.

ამას წინათ ვთქვით, რომ მამასახლისები იმისთანა საქმეში ერევიან, რაც იმათი საქმე არ არის.

ძანონმა დააწესა, რომ ყოველ სოფელს მამასახლისიცა ჰყენდეს და მოსამართლეებიც (სუდიებიც). მამასახლისი სხვა საქმე აქვს შეეკეთილი, მოსამართლეებს სხვა.

მამასახლისის მოვალეობა ის არის, რომ სოფელს უპატრონოს, ყური უფდოს გზებსა, ხიდებსა, რაც დაჭირება აქვს სოფელსა, მთავრობას შეატყობინოს და სასამართლოების გადაწყვეტილობა რომ მოუყიდოს, ასრულოს. ამ გვერდით თანამდებობა აქვს მამასახლისსა. ჩვენი სოფლებში მამასახლისები ყველაფერში ერევიან. აი, ვთქვით მოსამართლეები, სუდიები შეიყარნენ და მოჩირებების საქმეები უნდა გააჩიონ. მამასახლისიც აქ მოდის და სუდიები რომ იწყობენ საქმის გაჩხრეკას, ამითონ გააბაშს ლაპარაკს. მამასახლისი რომ მოსამართლეთ იყოს ამორჩეული ეს სხვა

იქნებოდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მოსამართლეთ ის არ არის. ამისგან ბევრი ცუდი საქმე წარმოადგება კანონისა და სიმართლის წინააღმდეგი.

საჩივარისა და დავის გარჩევისა და სამართლისათვის მოსამართლეები არიან ამორჩეულნი. მოსამართლეები რომ სამართალს სჭირებენ, იმაში არც მამასახლისი არც ნაცვალი არ უნდა გავერიოს. მოსამართლეების გადაწყვეტილება უნდა ასრულოს მამასახლისმა, აი, ვთქვით ერთი კარგი კაცი მეორეს უჩივის. სამართალი როცა იმის ჩივილსა და მეორის პასუხსა შინჯავს, აქ მამასახლისი არ უნდა იყოს. როცა მოსამართლეები გათავებენ სამართალსა და გადაწყვეტენ რომ ამა და ამ კაცმა ეს უნდა მისცეს ამა და ამ კაცსაო, აი, ეს გადაწყვეტილება მამასახლისს უნდა დააბარონ და იმან უნდა ასრულოს. ერთი სიტყვით მამასახლისის საქმე სამართალი არ არის, სამართალი მოსამართლეების საქმეა. ამისთვის არამც და არამც მამასახლისები არ უნდა ერეოდნენ სასამართლო საქმეში, არამც თუ სამართალში, იმ ადგილას არც კი უნდა დავსწარს, საცა მოსამართლეები საჩივარისა შინჯავენ, მანამ თითონ მოსამართლეებმა არ დაიბარეს რამე საქმისთვის. მითონ სოფლის სასამართლოს კანონები ამას ცხადათ უშლის. აი, რას ამბობს კანონის ობოლცა მვექესე მუხლი:

„სოფლის მამასახლისი და ნაცვლები არ უნდა გაეიყვნენ სოფლის სასამართლოს საქმეებში და არც დავსწარნენ იმთს განსამართლებაში.“

ამხანაგობის ძალა.

I

ძაცს, ცხოვრებაში ბევრი რამ სჭირია სასწილ-საქმელათ, ტანსაცმელათ, სადგომათ, ერთი სიტყვით თავის ბუნების დასაკაყოფილებელათ, ამ საქმეებში საგნების გაკეთება ან შობა იმისთანა ძნელი საქმეა, რომ კარგი ცოდნა უნდა ჰქონდეს კაცს, რომელიც იმათ აკეთებს და კარგა ძალი დროც უნდა მუშაობდეს იმათ გასაკეთებლეთ. — ამის გამო შეუძლებელი საქმეა, რომ ყოველმა კაცმა თვითონვე დაიშალოს და გაიკეთოს თავისი ხელით ყოველიფერი, რაც კი იმას ცხოვრებაში ჰჭირდება. ძაცის ცხოვრებაში მიღებულა, რომ ერთი ერთს რასმე ხელობაზე დამდგარი და ერთ ნაირ საგნებს ამზადებს, — მაგალითად ხენა თესვაზე, — მეორე მეორე-გვარ ხელობაზე ადგია, — მაგალითად სამოსლებს ქსოვს ან კერავს, ან და სადგომებს აშენებს.

უწინ, როცა კაცი, სიღარიბის და უმეცრების მიზეზით, იმისთანა ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ თითქმის მხეცეცით სცხოვრებდა, იმას, რასაკვირველია, ბევრი რამ არ სჭირია: და ერთი ხამის პერანგი, ერთი ქალბანი სადღ სასწაულოთ, თხის-ტყაყის ხალთა ტანის დასაფარავი, — ამის მეტი იმას არა ჰქონდა რა, და არც სხვა საშუალება ჰქონდა, რომ უკეთესი რამ შეეძინა. მაშინ ბევრი ცოდნა და ჯაფა არ უნდოდა იმის საქმეების დამკაყოფილებას. შინ გაზდილ ძროხას ის თვითონ დეკლავდა, ტყავს ნ. ცარს წაყრიდა, ბალანს ნაჯხის ტარით ვაცლიდა და ორი სადგისის გაყრით

ქალბანი მზათ ჰქონდა. მისი ცოლი შინაურულათ ხამს დაამზადებდა, ქმრის საპერანგოთ და თავის საკაბეთ. — ხალთაც ამ ნაირათვე ადგილი დასამზადებელი იყო.

მაგრამ როცა კაცი თან და თან უკეთესს მღვამარეობაში ჩაეარდა, იმას ჩექმებიც დასჭირდა, ჩოხაც და ხეირიანი პერანგი; მისი ცოლი ლაინის კაბას და ხამის პერანგს აღარ დაჯერდა. სუფრაზე მარტო ლობიოსა და მჭადს გარდა, კეირაობით და უქმე დღეობით დღეში და ხორციც მოინდომეს მათი საკმაზით. შეეცა ამ საგნებს ერთი კაცი და ერთი ოჯახი ვერ დაამზადებდა.

II

მაშინ მუშაობა ისე გაიშრათა, რომ რაც უფრო ეადგილებოდა კაცს, და რაც მის გარემოებას უფრო მოუხდა, იმას მოკიდა ხელი. საცა, ვთქვათ, კარგი სახნავე-სათესი მიწა იყო, იქ კაცი მამულის მუშაობას მისდგა. საცა ნამეტნათ ცოტა ადგილი იყო, და უფრო მეტი წყალი, მდინარე ვარო, თუ ზღვა; — იქ კაცმა თევზაობას, მენაუობას მიაწვა; საცა ბევრი ნადირიანი ტყე იყო, იქ უფრო ნადირობა გახშირდა; და სხე.

პირველათ, მეთევზეები უმეტესს ნაწილათ, თევზით იკვებდნენ თავს და პურის მომყვანნი, — პურით. რუსეთში, ჩილილოეთისკენ, ესლაც სცხოვრებს იმისთანა ხალხი, რომელიც პურის მსგავსათ გამხმარს და დანაყილს თევზს ხმარობს. ეს იმის მიზეზია, რომ სიღარიბის და უგზობის გამო, კაცი თავის სახლს ვერ სტოვებს, და ვერ იტყობს, თუ სხეავან როგორ სცხოვრებენ, რას აკეთებენ და რას სჭამენ.

ზადის დრო, და ზოგიერთი გამბედავი კაცები მიდიან ჯერ მუშობელი და მერმე შორეული ხალხების სანახათ. იქ ისინი, რასაკვირველია, იმისთანა რასმე ნახევენ, რაც შინ ჯერ არ ენახათ, და თან წამოიღებენ რამდენსამე ამ გეარ გასაკვირველ საგნებს. შინ ამ საგნების შოვნას ბევრი ისურვებს და ამის გამო ამ საგნებს ფასი ედება. რაკი მგზავრები ამას დაინახავენ, მეორეჯერ წაელენ უცნობ ხალხთან, მიუტანენ იმათ გასაკვირვებელ ან გამოსადეგ თავიანთ საგნებს და მათ მაგიერ წამოიღებენ იმისთანაებს, რომ შიწ კარგი ფასი დაედოს. — ამნაირათ იწყება ხალხში ერთი მხრიდგან მეორეში საქონლის წაღებ-

წამოღება, რომელსაც ჩვენ „ე ა კ რ ო ბ ა ს“ ვეძახით.

III

მაჰარს თავის ხალხისთვის სხვა ქვეყნების საქონელი მოაქვს, და თავის ქვეყნიდგან ან სხვა იმავე ფასის საქონელი, ან ფული გააქვს. ეს საქმე ადგილი საქმე არც ეხლა არის, უწინ კი სწორეთ გაჭირება იყო, ასე რომ ბევრი ვაჭარი ჩამკედარა გზაში, ბევრი დაღუპულა საქონლის წახდენით, დაწვით, ან დაკარგვით. — ამას გარდა, ვაჭარი დროს ჰკარავს ვაჭრობაზე, შრომობს, სცდლობს, შეკველია, რომ ის ამას ამიტომ ვერცხვად, რომ გამოჩინებას მოელოს. მანეთთ ნაყიდ საქონელს, რომელიც ქიარ-ხარჯით იმას ვთქვათ ექვსაბაზათ დასჯდომია, ის შვიდ, ან რვა აბაზათ, ხან ორ მანეთთ და მეტათაც ყიდის, და ამ მოგებით ის თავსაც ირჩენს, ოჯახსაც, და თან შეედლისთვისაც იმზადებს სარჩენს. სანამ ერთი ქვეყნა მეორედგან დაშორებულ და გაყოფილი იყო ცული გზებით, ავაზაკობით და ხალხების ერთმანერთ-შუა მტერობით, მანამდის სწორეთ დიდი გაბედვა უნდობათ, საეაჭროთ წასვლას. — მაშინ ვაჭარს დიდი გამჭირაზობა უნდა ენმარა, მოკლე, სანდო და სახეირო გზის გამოსაძებნათ, რომ საქონელი შინ საღათ და იფათ მოეტანა, ადგილებიც უნდა გამოეძებნა, საცა უფრო იფათ იყიდებოდა თვითონ საქონელი, და სხე. და სხე. მაშინ ვაჭარი ხალხი სწორეთ ისევე საქირო და სასარგებლო იყო ხალხისთვის, როგორც პურის მომყვანი და მხედარი, ამიტომ რომ ვაჭარი ეძებდა, ჰპოულობდა და ყიდა, იმისთანა საქონელს, რომლის შოვნა ძნელი და შეუძლებელიც იყო კერძო პირებისთვის.

მაგრამ აქ ისიც არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ვაჭრებსაც კარგათ ენმოდათ თავიანთ საქიროება და სარგებლობა. — ისინი საცა კი შეედლოთ — მოგებას ხელს არ აკლებდნენ, და, თავიანთ შრომით და მოხერხებით, კარგაღალ სიმდიდრეს აგრობდნენ.

IV

შემდგომში გარემოება გამოიცვალა. მაიმართა კარგი გზები, ავაზაკობა შემცირდა, წასვლა წამოსვლა ერთი-ქვეყნიდგან მეორეში, ისე გაიფადა და გაადვილდა, რომ უწინ მთელისილგან მთუთისს ვერ ჩავიდოდა კაცი იმ ფულით, რომლითაც ეხლა ერთ თავიდან მეორემდო შეიძლება მთელი მეროპის გავლა.

ამას მოსდია ვაჭრების რიცხვის გავრავლებამ, ალებ-მიცემობის მომატებამ, და საზოგადოათ კაცის ცხოვრების გაუმჯობესობამ.

მაგრამ, ვაჭრების გამრავლებას ცული გავლენა ჰქონდა ხალხის მღვამარეობაზე. რაც უფრო მატულობდა ვაჭრების რიცხვი, მით უფრო მეტ რიცხეს მიჰქონდა მოგება და სარგებლობა, ან, როგორც სწავლულები ამბობენ, მით უფრო მეტი რიცხვი უმაქნისად სჭამდა პურსა. ამას გარდა ვაჭრები, და განსაკუთრებით ისინი, რომელნიც სხებზე უფრო მდიდრები იყენენ, აგროვებდნენ რაიმე საგანს, ან საქონელს, და ინახავდნენ სანამ სხვებს გამოეყოფოდათ; მაშინ გასაყლათ გამოიჩინდნენ და ისეთ ფასს ადებდნენ, როგორც მათ გულს სურდა. ამ მიზეზებით, ვაჭრობა ხშირათ ერთი-ორათ ან სამათ ხდის საქონელს, მაშასადამე ხალხი ტყუილა-უბრალოთ იხდის ფულს და ღარიბდება ვაჭრების გასამდიდრებელათ.


V

სხვა მეცნიერობებს შუა, ერთი მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს თუ რა რიგათ გროედება ხალხის სიმდიდრე და რა მიზეზებზე დამოკიდებულია ხალხის კარგი ან ავი მღვამარეობა. ამ მეცნიერებას „ს ა ზ ო გ ა დ ო“ (სოციოლოგი, პოლიტიკური) ეკონომია ჰქვია.

როცა ამ მეცნიერებაში გართული სწავლულები დაუყვირდნენ ეხლანდელი ვაჭრობის საქმეს და მღვამარეობას; იმათ დაინახეს, რომ ეხლანდელ დროში საზოგადოებას და თვითონ ხალხსაც ძალიან ადვილათ შეუძლია უეაჭრებოთ გაძლება, და თვინათვის იმ მოგების შენახვა, რომელიც ეხლა ვაჭრების ჯიბეში რჩება.

აი, რაზეა დამყარებული იმ სწავლულების აზრი.

მხლანდელ მღვამარეობაში, საქონლის გამკეთებელი, ფაბრიკანტი, თვითონ კი არ ყიდის წყრილათ თავის საქონელს: მისგან ყიდილობს მდიდარი ვაჭარი, რომელსაც დიდ ქალაქში, ვთქვათ მოსკოვში, მაგაზინა აქვს გამართული, და შიგ სხვა და სხვა ფაბრიკებში გაკეთებული საქონელი უწყევია. — ამ ქალაქში მოდის სხვა ქვეყნის ვაჭარი, მაგალითად თფილისელი, და ყიდილობს მისგან საქონელს, ნახევარს ნაღათ, ნახევარს ნისიათ. ნისიათ ყიდილიფერი ნაღზე უფრო ძვირათ ჯდება, — ერთი ეს, და მეორეთ, დიდ ვაჭარს მაგა-



ზიის მოჯამაგირების ქირა, და-ხარჯი, თავის რჩენა, მოგება უნდა. მაშასადამეს თავის საქონელს ბევრით უფრო ძვირად უნდა ყიდდეს, მინამ თვითონ ნაყიდი აქვს ფაბრიკანტიდან.

თფილისელ ვაჭარს ნაყიდი საქონელი თფილისის მოაქვს. ის ზოგს თვითონ თავის მაგაზინაში წყრილმანათ ყიდის, ზოგს კი წყრილწყრილ მელუქნებს, „მეწერილს ლეებს“ აძლევს, ნახევარს ნისიათ, როგორც თვითონ აქვს აღებული, და ნახევარს ნაღდათ. აქაც სწორეთის ანგარიშია, როგორც მოსკოვში იყო: თფილისელი ვაჭარი ბევრათ უფრო ძვირად ყიდის მეწერილმალეებს თავის საქონელს, ვინემც თვითონ უყიდინა.

მეწერილმანეს ღუქანი ან პატარა ქალაქებში აქვს გამართული—მაგალითად ღუშეთში, ან მსწი, ან სოფლებში, ან და თვითონ თფილისის ქალაქის ნაიბრის ქუჩებში. ღუქნის ქირათ, ხარჯათ, და თავის დასარჩენათ ის რამე მოგებას უნდა იღებდეს გაყიდულ საქონელზე, მით უფრო, რომ ისიც მიყიდევლებს ხშირათ ნისიათ აძლევს საქონელს.

ამ ნაირათ, მოსკოვის და თფილისის ვაჭარების და მეწერილმანის ხარჯი, მოგება და სარგებელი რომ ვინაგარიშობათ, დაეინახათ, რომ ის საქონელი, რომელიც გამკეთებელს პირველათ მანეთათ გაუყიდინა, ჩვენ, მიყიდევლებს, მომხმარებლებს, სამ მანეთათ გვიყიდება.

რათ გაღის ჩვენი ჯიბიდან ეს ნამეტანი ფული? მანა არ შეიძლება ისე გაიწყოს საქმე, რომ პირდაპირ იმართებოდეს აღებ-მიცემობა გამკეთებელსა და მომხმარებელს შუა, და რაც ვაჭარებს მოგება ან სარგებლობა რჩებათ, ის თვითონ მიყიდევლის, მომხმარებელის ხელში დარჩეს?

სწავლეულებმა თქვეს, ეს დიხს შეუძლებელიაო.

VI

აეილოთ, სამაგალითოდ, ერთი შუათანა სოფელი, ან ორასიოდე კაცი, ერთ ალაგას მცხოვრები. ღდეს ისინი ცალ-ცალკე ყიდულობენ თავიანთ სახრდოს და საქონელს მეწერილმალეებთან. საქონელი არც ნამეტანი კარგია, არც იაფია. მალა ვთქვათ, რომ ას კაცს იმ სოფელში სჭირათ, ვთქვათ, თითო დერი სანთლის ყიდვა. თითოეულათ რომ მივიღოთ ისინი მეწერილმალესთან, თითო შაური უნდა გარდაიხადონ ვი-ვაჯალხიანი სანთლის

ღერში. მაგრამ თითო შაური რომ გამოვლოთ, კაცი ვაგეზუნათ და გირენქობით ან ოყოებით ეყიდნათ სანთელი იმავე ალაგას, საცა თვითონ მეწერილმანე ყიდულობს, მაშინ სანთელიც უკეთესი ღირსების ექმნებოდათ, და იაფათაც დაუფლებოდათ,—ასე რომ თვითონ მელუქნებულ უფრო იაფათ ექმნებოდათ ნაყიდი, რადგანც ნაღდი ფული ხელში ეჭირებოდათ.

მს მარტო სანთელზე ვთქვით. მართალია, მარტო სანთელზე სოფლიდან ქალაქში კაცის ვაგზუნა უნაგარიშობაა, მაგრამ მარტო სანთელი ხომ არ სჭირია კაცს, სანთლის გარდა საბონია, შაქარიან ხანდისხან, ხმელი თევზი, არაყი, და სხვა, სოფელში გამოსადეგი საგნები.—მის ან სამს თეში რომ ერთხელ სოფელელები ფულს გამოიღებდნენ და სანღდა, პატიოსან კაცს ვაგზუნენდენ ქალაქში ხორაგეულობის საყიდევლათ და მერმე ერთმანერთში გაიყავდნენ ნაყიდ ფასათ, მაშინ იმათ იმოღენა სარგებლობა დარჩებოდათ, რომ ქალაქში კაცის ვაგზუნას კი არა, სახელიც რომ ეჭირავნათ ხორაგეულობის დასაწყობათ, იმის ხარჯსაც აუვიდოდნენ. მა თუ კი ეს ვაგზუნა ერთ ჯგერ ორჯგერ სახეიროთ დარჩა, რალა დაუშლის მაშინ სოფელელებს სამუდამო ღუქნის ან მაგაზინის გამართვას და ამარჩეული კაცისთვის ჩაზარებას? რა ძნელი იქნება მაშინ, რომ ის ამორჩეული კაცი, წელიწადში ოთხჯგერ-ხუთჯგერ წაიღოდეს მახლობელ ქალაქში და იქ თავისი სოფელელების ფულით ხორაგეულობას ყიდულობდეს?

VII

მს აზრი მეტის მეტათ ადგილი ვასაგები და შესასრულებელი იყო. ამის გამო ხალხშიაც ძალიან მალე მოინდომეს ზოგიერთებმა მისი ასრულებებაში მოყენა. ჯერ მოჰყენენ ქალაქებში მცხოვრებლებმა, და შეადგინეს „ამხანაგობები“; ზოგან ოცი-ოცდა ხუთი კაცის მეტი არ იყო, მაგრამ ზოგან კი ასისც და ათასებიც ერთად შევიდნენ ამხანაგობაში. ამისთანა ამხანაგობები ირჩევიდნენ „გამგებლებს“, რომელნიც საქმეს დასდევდნენ, იაფ ფასათ საქონელს ვაყიდებდნენ ხელიდან ყიდულობდნენ, იაფ-ფასათ ვადმოჰქონდათ სამხანაგო მაგაზინა, და იქ ისაც დასჭირებდნენ აძლიევიდნენ, იმავე ფასად როგორც თვითონ ამხანაგობას დამჯდარი ჰქონდა.

თავ-დაპირველათ, რასაკვირველია, ზოგიერთი უთავბოლობა უნდა მომხდარიყო, მაგრამ იმიტომ, რომ ყოველგან კარგი და სანღდა პირები ვერ ამოერჩიათ, ხან იმისგამო, რომ ამხანაგებს თავის დროზე და ნაღდათ არ შექონდათ ხვედრი წილი და ხან იმისთვის, რომ ვამგებლები ვერ ახერხებდნენ საქმის კარგათ წაყენას და რიგიანი წესის ვაწყობას ამხანაგობაში. მაგრამ ეს დაბრკოლებები თანდათან ჰქრებოდნენ, და ახლა ამ გვირი ამხანაგობებში უფრო და უფრო ვრცელდებიან ქვეყანაზე, ასე რომ ამ ჟამათ განათლებულ ქვეყნებში იშვიათათ იმოგება იმისთანა ქალაქი. საღდაც ერთი ამ გვირი ამხანაგობა მიინც არ იყოს. ასე ვაშინჯეთ თფილისშიაც კი გამართეს წლეულს ერთი ამხანაგობა და ამჟამათ მრევანშიაც ვმზადებიან ამხანაგობის შედგენას.

შინაგანი ცნობები.

მიხიციღდენ მოსული ამბავი „დროებაში“.

როგორც „დროებაში“ წაიკითხეთ, ცხლა ქალაქში პური ვაიფედა და ბევრიც არის; „მაცკაზიც“ ამტკიცებს ამასა. მს იფეობა ჩამოუღდია სახელმწიფო მალაზიებიდგან პურის გამოტანასა და, როგორც „მაცკაზი“ ამბობს, დაუკმაყოფილებია „тогдашнее население“, დამშეული ხალხი. მალაქის მალაზიას, არამც თუ მალაქის მცხოვრებლებისთვის, სოფლის ხალხისთვისაც შევება მიუყცია, ამ ღონისძიებით, მადლობა ღმერთს, მალაქის ღარიბ ხალხს შიმშილი ღიღანს არ ვამოუყლია.

პაუური ხალხი კი ღდდ ვაჭირებშია და შიმშილი აწუხებს. ბევრი ოჯახობა რამდენისამე ღდით უპუროთა სხედან, მანამ ორიოდე ვამომცხვარ პურს იშოვიან, ან ორიოდე ღიტრა ვქვილსა. უფრო ბალახით ირჩენენ თავსა. ხორციელს ძალიან იშვიათა ხედენენ; ბევრს კომლს არც ძროხა ჰყავს, არც ცხვარი და ამის გამო რძე და კარაქსაც მოკლებულნი არიან. პური ვასაყიდი ცოტაა და, თუნდა იყოს კიდევცა, ფული არა აქვთ, რომ იყიდონ; სესხს ღდდის სარგებლითაც აღარავენ არ ენღობა გლენობასა, რადგანაც აქაური სოფელელები ღდდ ვალში არიან ჩავარდნილნი. წლევენდღემა უპურობამ ასეთი საქმე უყო აქაური გლეხებსა, რომ, როგორც თითონ ამბობენ, ძნელათ ოთხ-ხუთ წელიწადს წელში ვასწორდებიან.

თელავისკენ რომ კი მოსავალი ყოფილ-
იყო, კარგი იქნებოდა, ცოტა შემწეობა მა-
ინც ექნებოდა ძიხვისა; მაგრამ, ამბობენ, იქაც
ღარი გაქირებიათ.

მისაც კი პური ჰქონდათ, იმათ კი კარგი
ამბიდი დაუდგათ, ისინი დედა სისხლათა ჰყი-
დიან პურსა. მუღს ასეხებენ თუმანს ოთხ
თევში ხუთ მანეთათ, ასე რომ ოთხ თევს შემ-
დგენ თუმან ნახევარი უნდა მიიღოს ფულის
პატრონმა. პურს აქ ერთი ორათ ავალდებენ,
ესე იგი კოლზე კოდი. ეს მოდის ოთხ თევ-
ში თუმანზე თუმანი. წარმოიდგინეთ, რა გა-
ჭირებაში უნდა ჩაგვადეს კაცი. ს. მოდლოს
ერთმა მამულის პატრონმა, როგორც შევი-
ტყეთ, კოლზე ხუთი კოდი ითხოვა! მის თევ-
ში... წარმოუდგინეთ, თუმანზე ხუთი თუმანი
მოდის! მოდა დე გაიკირე ამის შემდეგ ქე-
ყანაზე რა ავკაცობა არ შეიძლება. რით
არის ამ გვარი საქციელი ცარცვაზე, ქურდო-
ბაზე, დარბევაზე და აკლებაზე ნაკლები? აი,
ჩარჩობა, ჩარჩობა უსტინიდისობისაგან უსვი-
ნიდისობა! აქ აღმანი შიმშილითა კვდება
და, შეგლის მაგიერათ, რომ ცოტათი შემუ-
სუბუქოს გაქირებული მდგომარეობა, პური-
სა და ფულის პატრონი უფრო გაქირებაში
ავდებს! — მღვებმა, რასაკვირველია, უარი თქ-
ევს ამაზე და პური არ აიღეს. შემდეგ გლე-
ხებს მოუტრიადა მამულის პატრონი და პური
მიჰყიდა იმ პირობით, რომ ოთხ თევს შემ-
დგენ კოლზე ორი კოდი მისცენ. ბარათები და-
სწერეს, როგორც რიგი იყო. წავიდნენ გლე-
ხები ხორბლის ასაღებათ, მაგრამ, ნურა თელა-
მა ნუ ნახოს იმისთანა ხორბალი, რაც ამათა
ნახეს! ხორბალი ნახეარი დამალია, ნახეა-
რი ფუტურა, და მიწა წარევი. ამ ხორბლის
ნიმუში ეიშოვნენ, როგორც იყო, და თქვენ
გვგზავნით, რომ თქვენის თვალთ დარწმუნ-
დეთ. *) მღვებმა თავში წაიშინეს, ნახეს,
რომ მოსტყუდნენ, მაგრამ პურზე უარი თქ-
ვეს. მთუცა ოთხი თვის უკან გადაგვხდები-
ნებენ ეალსა, მაგრამ საწამლეო რათ გვი-
დაო. მღვებები წყველა-ქოლეთი დაბრუნდ-
ნენ თურმე ცარიელები. მღვებები ამბობდნენ:
„ჩვენის ცოლეთი საესეა ეგ სახლიო, ჩვენის
ოჯლით გაკეთდნენო და ახლა ამნაირად
გვატყუებენო. ისევე გვირჩენია ბალახი ევა-
მოთო.“

რამდენიმე შემთხვევა მოხდა აქ. ამბობენ,
რომ ამ თვის დამდევს რამდენიმე კაცი შიმ-
შილით მოკვდაო, და ორს სიცილილის შემ-
დეგ მწვანეთ აზიდებდაო. პარდანსში ერთი
დღედაცაი ოთხი ღლის შიმშილის შემდეგ მო-
კვდაო. თელაველი ერთი თვალშევილი მე-
უზნებოდა, რომ ბევრნი სახლებსა ჰყიდიანო
ათ თუმანიანს ოთხ-ხუთ კოდ პურათ. ამის-
თანა შემთხვევა იყო სოფელ ხოდაშენს. სახ-
ლებს შლიან მყიდველები და მიაქეთ სხვაგა-
ნა (ძახეთში ხის სახლებია). მაგრამ ეს კიდევ
არაფერი. მართი მღვდელი ლაპარაკობდა, ვი-
თოდ სოფ. კაცებთში ერთმა გლეხმა ხუთ მანე-
თათ ცამეტი წლის ვაჟი-შვილი გაჰყიდა. ბაყი-
დის წერილი, როგორც ამ მღვდელმა მიიხრა,
სოფლის სუღების და ბლაღოჩინის თანხმო-
ბით დაწერილი იქნაო. —

სიღნაღი მაისის 17-ს.
1870 წ.

„ღ რ ო ე ბ ა შ ი“ ა ი, რ ა ს ს წ ე რ ე ნ
ძ ა რ თ ლ ე გ ა ნ .

თავის დროზე წვიმები და საზოგადოთ კარ-
გი ტაროსი იმდენს გვაძლევს, რომ წელს რი-
განი მოსავალი იქნება ჩვენში ნამუშევრისა.
მხოლოდ სიმინდი და ლობიო თავდაპირვე-
ლათ დღესათს გეპირებდნენ, რადგან ამას წი-
ნეთ, განსაკუთრებით დამ-დამობით, ცოტა
სიციები იყო; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს
თვლილმა წვიმამ და სიცივის მოსაზრებამ იმათაც
მოუშართა ხელი და იმათი კარგი მოსავალი
იმედოც მოგვცა. მენახებზე ხომ რაღა თქმა
უნდა? მძემად ვაზი მშვენიერ მდგომარეო-
ბაშია, დ თუ შემდეგში სეტ-ემ და ყურძ-
ნის აუთმყოფობამ (ნაცარმა) არ გააფუჭა,
იმედია, წელს ბორის უესდში ძალიან ბერი
ღირო მოვა.

მე შეენიშნე, რომ უკანასკნელ წელწა-
დებში ჩვენი გლეხები უფრო აპატიებენ თა-
ვიანთ მინდრებს, რადგან გამოკიდლებით
დარწმუნდნენ ისინი, რომ დედა-მიწა ყოველ-
თვის ერთნაირად არ აძლევს ნაყოფს; ისინი
მიხედვენ, რომ ცენტრირებულმა საყვებს
იღებს მიწოდებ და ეს საყვები მიწას გამოუ-
ლეველი არა აქვს. ზოგიერთს ჩვენი სო-
ფლების ს ხელმწიფო და საეკლესიო გლე-
ხებს ზაფხულზე აღრიანათ და აგრეთვე ნა-
მუშევრის შემდეგაც გამოაქეთ ნები და გულს-

მოდანეთ აპატიებენ მინდრებსაც. ამ უკა-
ნაწელ ორ წელწადაში დროებით სიცილ-
ბული გლეხებიც აპატიებენ ყანებს. საზოგა-
დოთ, აქაურ გლეხს ძალიან ძვირად უჯდება
მინდრის პატივი, რადგან ბევრი ნები სჭირ-
დება; ნები ბევრი სჭირდებათ ერთი ამიტომ,
რომ საქონელს ცუდით ინახავენ და ცუდით
შენახული საქონელისაგან, უძვეველია, ნებიც
თვითიანი არ იქნება, — მერე ამიტომ რომ
თითონ ნების მომზადებაც არ იციან, რო-
გორც რიგია; ასე რომ, აქ რომ ერთი დღე-
ურს მოაყრიან ნებს, მერმანიაში ის ორ-სამ
დღეურს მაინც ეყოფა, რადგან იქ პირუტყე-
საც კარგათ ინახავენ და ნების დამზადებაც
იციან.

რაც უნდა იყოს, ჩვენს უთადარიგო მეურ-
ნობაში ეს გარემოებაც წინ-წასწევას მოას-
წავებს.


მ. მ.
მ ო რ ი, 1870 წ.
მაისის 31.

— ძი ამბები გვეცხის ყანებისა ძართლიდანაც
და ძახტილიდანაც. ამ უკანასკნელ სამ დღეს ძა-
ლიან ქარი და სიციფებიც, ასე რომ ზაფხულის
ტანისამოათ სიარული არ შეიძლება. ძალა-
ქილდან მთებზე თოვლი სჩანს, შიმშობენ სეტ-
ყვა არ მოსულიყოსო.

ს ა მ ე ს ე ნ ი ა რ ო ნ ა წ ი ლ ი .
რ ა ა რ ის ქ ი მ ი ა .

ბანა ბუნებაში ცოტა კანონებია? ძაცეს
ჯერ კიდევ ყველა ვერ მოუგონიათ. ხშირად
ცხედეთ, რომ წყალი სიბოზსაგან ოხშიერათ
იქცევა და ჰაერში ადის. მაშინ წყალი ჰაერს
გვარსა ჰგავს, ამისთვის რომ სულაც არ
იხედება. მაგრამ ცივილამე თუ იქნა და დი-
ლით ფანჯრის მინას დაეაქერდით, შეენიშ-
ნათ ზედ მიმდგარს წყლის წვეთებს, რომ
მელოც ისევე გამოკრეფილი ჰაერიდან და
წყლათ გადაქცეულია. შეიძლება ეს წვეთებ
კიდევ გაიყინოს, თუ რომ ტბული სიცილ-
დადგა, მაგალითად ზამთარში. ამნაირთ ჩვენ
თვალწინ სხელით, რომელიც ჰაერგვარათ
იყო და ჩვენი თვალის შეუნიშნავი, გადაეც
ყ წყლათ და მერე მაგარ სხელით, ყინუ-
ლათ, რომელსაც ხელში აიღებს კაცი და
ამტრევეს, როგორც ხმელ ჯოხს. — მეცნიერ

*) მარალა ხორბალი საშინელი სანახავია.



რებმა იციან, რომ ბუნებას როცა უნდა ახალი სხეულის გაკეთება, არაფრით მიანიძა, ჰერგვარის გადაქცევა თხელ სხეულათ, გინდა მაგარ სხეულათ.

* *

თუ სხეული რთულია, ესე იგი შემდგარია რამდენიმე სხვა და სხვა ნივთიერებისაგან, შეიძლება ისეთ ნაირათ დიშალოს ეს სხეული, რომ ცალკე-ცალკე გამოიკრიფოს ის ნივთიერებანი, რომლებსაგანაც იყო შედგენილი რთული სხეული. მაშინ, რასაკვირველია, ყველა ადვილათ შეიტყობს, რისაგან იყო შედგენილი ზევით მოხსენებულ სხეული. როდესაც რთული სხეული დაიშლება, მაშინ იმისაგან გამოიკრიფებიან ახალი სხეულები, რომელნიც სრულებით არ მგაეან დაშლილ სხეულსა. აი, ამ მოქმედებას ჰქვია დახსნა, ანუ დარღვევა სხეულისა შემადგენელ ნაწილებათ. როდესაც ძველ ქეთიკირის კედელს აქცევენ, ერთვან დაგროვებენ აგურებს, მეორეგან გაჯის ნაფხვენს და ქვიშას, მესამეგან მსხვილ ქვებს, მეოთხეგან ფიცრებს და ძელებს, რომელნიც იყენენ კედელში დატანებულნი. აქედანაც კაცი ცხადათ შეიტყობს, რისგანაც იყო კედელი აშენებული. ახალ მოწვეილ რძეს ამა რას შეატყობ, რისგან არის შემდგარი. მითი წვეთი რძე რომ ამოიღო ქოთნიდან, რაც ქოთანში დარჩა, ესეც იმისთანაა. მაგრამ ამა აყოფე ჰაერში რამდენსავე ხანს. შენიშნავ, რომ ის თავის თავით დაიშლება რამდენიმე ნაწილათ. ჯერ თავსე მოიგდებს პაწაწინა ერბოს ნაწილებს და მალე შეენიშნავთ, რომ რძე ქოთნის თავზე გაყვითლდება და გსქელდება, ამას ვეძახით ნაღებს. ძირს, საცა ერბოს ნაწილები აღარ დარჩებან, რძე უფრო წყლიანია და ცისფერი დასციებს. თუ კიდევ დიდხანს დაეტყვეთ ეს რძე ჰაერში, განსაკუთრებით თბილ ადგილზე თუ დგას, მაშინ ის დაჰყვდება, რძე შედგება და გაყოფება ორ ნაწილათ ერთს ჰქვია ნაკვეთი, რომლისგანაც ყველს აკეთებენ და მეორეს წაქა. აქედანაც ცხადათ სჩანს, რომ რძე ამ სამი ნაწილისაგან არის შემდგარი: ნაღებისა, ნაკვეთისა და წაქისაგან. მაგრამ საქმე ამითი კიდევ არ გათავდება. ამისთვის რომ ეს სამი რძის ნაწილები, თავის თავათაც რთული სხეულები

არიან და დაიშლებიან მარტივ სხეულებათ.

ამის შეტყობას კი უფრო ბევრი ცოდნა უნდა, იმის გამოძიება კაცი მეცნიერებაში განეთარებული უნდა იყოს. მეცნიერები ბევრი შრომის შემდეგ მიხვდნენ, რაც უნდოდათ და გამოჩნდა, რომ რძეში წყალიც არის, კირიც, რკინაც, მაქარიც; მარილიც და სხვა იმისთანა ნივთები, რომლებიც დაშლა, ანუ დარღვევა ხელახლა შესაძლებელია; ყველა შემთხვევითი ნაწილები რკინას გარდა რთული სხეულებია, ყველა შეიძლება კიდევ დაიშალოს მარტივსხეულებათ. არამც თუ მარტო რძე, რა სხეულიც უნდა აიღო ბუნებაში, ყველას დახსნა შეიძლება თითო-თითო მარტივ სხეულებათ. ზოგი იმათგან შეიძლება დაეხსნათ და ხელმეორეთ შეედგინათ. მაგალითად წყალი ადვილათ შეიძლება დაშალოს კაცმა ორ ჰაეროვან სხეულათ და ისევ შეადგინოს იმათგან.

* *

არის ერთ გარი მეცნიერება, რომელსაც ძიებისა ეძახიან. ეს მეცნიერება გეგასწავლის, როგორ უნდა ყოველი სხეულის დახსნა ცალკე სხეულებათ და თითო ამ სხეულების დაშლა კიდევ ხელმეორეთ. შისაც უსწავლია ეს მეცნიერება, იმას კიდევ გამოუცდია ბევრი სხეულის დარღვევა შემადგენელ ნაწილებათ. როდესაც დარღვევით რომ ღიმი სხეულის, მერე კიდევ ცდილან იქნება ამ ცალკე სხეულების დარღვევაც შეიძლებოდესო. ბოლოს დარწმუნებულან, რომ ზოგიერთი სხეულების დარღვევა არაფრისაგან არ შეიძლება. რომელიც არასაზნით არ ირღვევა, ის სხეული აღბათ თავის-თავათ არის შემდგარი და სხვა არა ურევიარა იმაში. აი, ამისთანა ნაწილები შეიძლება ერთმანეთში შეურიოს კაცმა და იმათგან აკეთოს რთული სხეულები. თუ კაცმა ქიმი იცის, მაშინ ამისთანა სხეულის გაკეთებაც შეუძლია. ბუნებაში კი მშრობათავის თავათ კეთდებიან რთული სხეულები დამეცნიერნიც ხშირადა ჰნიშნავენ. ცხადათ სჩანს, რომ ბუნებაში რაც კი მიწაზე და მიწის გულში იპოვება, ყოველივე იმათგან არის გაკეთებული. ამისთვის მეცნიერები ამ ნაწილებს ეძახიან მასალებს ანუ ელემენტებს, ან მარტივ სხეულებს. სიტყვა ელემენტი ბერძნულია. უსწავლოდ კაცებს ხშირათ ესმისთ ეს სიტყვა ლაპარაკში და არ

იციან, რას ნიშნავს; ეს ნიშნავს თავნივთს, როგორც მაგალითათ სამოსელში შეყვანილი თი ძეგებია. თუ ძეგი არ იქნა, არც სამოსელი მოქსოვება.

* *

ძველ დროში მეცნიერებს ეგონათ, თითქოს ყველა ბუნების სხეულები მხოლოდ ოთხი ელემენტისაგან არის შემდგარიო: ჰაერისგან, წყლისა, მიწისა და ცეცხლისაგან. ჩვენში ახლაც სჯერათ ეს სწავლა. ძველ დროში არ იცოდნენ, თუ წყალი, ჰაერიც მიწაც მარტივი სხეულები არ იყვენ. ახლა გაიჩინა, რომ ეს სამი სხეულები რთულნი არიან დამეოთხე ცეცხლი სხეულიც არ არის. ის არის სითბო და სინათლე; სინათლე და სითბო კი მაშინ შეინიშნება, როცა სხეული იწვის, ან სულ ერთია, როცა იშლება იმ ნაწილებათ, რომლებიც დანაც შემდგარია. ახლა ქიმიის მეცნიერებიდან შეგვიძლიან ნამდვილათ შეიტყვათ, რომ მარტივი სხეულები არამც თუ ოთხი, სამოცზე მეტიც არიან. თითოეულის ამა მარტივი ნივთის ცოდნა შეუძლიან მეცნიერს, ნასწავლს კაცს, უსწავლელი კაცისთვის ყველა იმათი ცოდნადილი საჭირო არ არის, მაგრამ იმ ელემენტებს მაინც კარგათ უნდა იცნობდეს, რომელნიც ძალიან საჭირონი არიან ჩვენს სიცოცხლისათვის და სიმთვინისათვის. მაგალითად ყოვლამ უნდა იცოდეს რა არის ის ჰაერგარი, რომელსაც ძმართავე ჰქვია. ეს არის ის გაზი, რომლითაც ჩვენ ვცოცხლობთ. როდესაც ეს ძმართავე შეერევა მეორე ჰაერგვარს, სახელათ აზოტიც, კეთდება ჰაერი. შაეროთ კი ხუთ მიწულსაც ვერ გაეძღვებთ. ამის შემდეგ ისიც როგორ არ უნდა იცოდდეთ, რომ წმინდა ძმართავეში, თუმცა ცხვერების გახსნისგან, მაგრამ სუთქვე არ შეგვიძლიან, თუ შიგ ზოტიც არ ურევია; ამის საქმე სწორეთ სპირტის გვარია. წმინდა სპირტის დღევანდეს არ შეუძლია, თუ ცრტა წყალი მაინც არ გაურია, ამისთვის რომ ერთობ მაგარია.

ამას გარდა ესეც როგორ არ უნდა იცოდდეთ, რომ მარტო ერთ აზოტში არც ცხოვრება შეიძლება და არც ცეცხლის გაჩენა. ეს აზოტი თავის თავით, თუ ძმართავე თან არ ახლავს, მასწობი ჰაერ-გვარია; ვინც გინდა შიგ დასვი, მაშინვე გაგუდვს, აწინებულნი ნივთიერიც რომ შეიტანო, უცნაუთ გაქარავს,

კომლიც არ აღინდება, თუმცა აზოტიც ისე საჭიროა კაცის სხეულის შესადგენათ, როგორც პურის გასაკეთებლათ ფქვილია საჭირო. როგორ არ უნდა იცოდეს კაცმა რა ელემენტია წყალთა ავა?—მსეც ჰაერგვარია და ჰაერზე უფრო მსუბუქია. იმითი რომ ბუშტი გაეხრა და გაუშვა, მაშინვე ზევით ჰაერში დაიწეებს ასელას, როგორც ნაფორი დაიწეებს წყალში ტიტეის. როცა ეს ჰაერგვარი ძმართავს შეუერთდება, გაკეთდება წყალი, რომელსაც მუდამ ღლე ესავით. ბოლოს როგორ არ უნდა იცოდეს ისიცა, რა არის ნახშირთა ავა? მსეც ძალიან საჭირო ელემენტია. ეს რომ არ ყოფილიყო ქვეყანაზე, არც ერთი მცენარე არ იქნებოდა. ამისთვის რომ მცენარის შესადგენათ ისიც ისეთი საჭიროა, როგორც კაცის და ცხოველის ტანის შესადგენათ საჭიროა აზოტი. აღმასი და წმინდა ნახშირი ამ ელემენტისგან არის შემდგარი, სხვა არა ურევია რა. დანარჩენ სხეულებში კი საცა ის იმყოფება, მასთან უეჭველათ შერეულია სხვა ელემენტებიცა.

* *

ეს ნახშირთა ავა და ძმართა ავა თანასწორი ნაწილი რომ ერთმანეთში აურიოთ, წარმოსდგება ნახშირის გაზი, რომელიც მსურავლად მოსწამლავს კაცს. როცა ერთი ნაწილი ნახშირისა და ორი ნაწილი ძმართისა შეერევიან ერთმანეთთან, მაშინ წარმოსდგება ნახშირძმართის ჰაერგვარი, ანუ რომელიც ქვეყნად დგება მაკრობის დროს, ანუ რომელიც ახრჩობს კაცს ზოგიერთ ღრმა სარდაფებში და გამოქვაბულებში.

* *

ჭეყანაზე ელემენტები ბევრია, მაგრამ ბუნება იმთავყელას არ ხმარობს, რომ შეადგინოს კაცი, ცხოველი და ყოველგვარი მცენარე, რომელიც ღვამიწაზე იმყოფება. ძაცის და ცხოველის შესადგენათ, ბევრი რომ ეთქვათ, ათი ან ხუთმეტე სხვა და სხვა ელემენტია საჭირო; და მცენარისთვის ორისამი ელემენტით მეტე. ჰოველი ამა თავი-ელემენტთაგანი უკუნით-უკუნისამდე დარჩენილა შეუცვლელათ, ისეთი, როგორც მცერისთავდაპირველათ გაუჩენია. მაგალითად სპილენძი არაოდეს ოქროთ არ გადაიქცევა. ძმართა ავა ყოველთვის ძმართავთ დარჩება და წყალთა ავა წყალთა ავათ. მაგრამ ელემენტი და შედგენილობა, როგორც ჩვენ ეთქვით, შეიძლება ერთმანეთში შეიერიონ და გაკეთდენ ახალი სხეულები, მაშინ ამ სხეულებს სრულებით სხვა სახე აქვთ და სხვა თვისება, ასე რომ ელემენტები ამ შედგენილობაში სრულებით არ ჰგავან უწინდელსა, როცა გაცალკეებულნი იყვნენ; ვერც იტყვის კაცი არიან თუ არა ისინი შედგენილ სხეულში; ეთქვათ, წყალი ორი გაზისგან არის შემდგარი,—ძმართა ავასა და წყალთა ავასაგან. ან მაგალითად ჟანგი ავილოთ. ის არის რკინა, რომელსაც ძმართავა შერევიან. ეს ძმართავა ან ჰაერისგან მოცხდება ამ რკინას ან წყლისაგან. ამა, ნახეთ ჟანგი ოდნათ მაინც ჰგავს თუ არა რკინას ან ძმართავას, რომელიც ჰაერსავით გამსქევერი და უხილავია. მსებები რომ კარგათ გაეგვით და გონება მიესკეთ, მაშინ, აი, ამის გაგება ადვილი იქნება ჩვენთვის. ჰოველი რთული სხეული: ჟანგი იქნება, თუ მცენარე, ან სხვა რამე, მხოლოდ მაშინ განჩნდება ქვეყანაზე, როდესაც ერთი ერთმანეთს შეერევიან ყველა ელემენტები, რომელნიც იმის შესადგენათ საჭიროა. ამასთანავე ისიც საჭიროა, რომ შედგენილობანი, როგორც რიგია, ისე შეერთდენ, მხოლოდ იმდენი რამდენიც განწყობებულია, ერთი მოამეტებული, მეორე ნაკლები, ან თანასწორი, როგორც ბუნება ითხოვს.

* *

მსეც უნდა იცოდეთ, რომ ელემენტები ამ შედგენილობანი, თითქო მონათესავე კაცები ერთმანეთის ისე შეეყრებიან და შეეყრიან. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც იმათ შორის არის მკვიდრობა. მონათესავე ანუ ერთი ხორცის კაცები ყოველთვის ერთმანეთზე უფრო დაახლოებულნი არიან, ვინამც გარეშე და რამდენათაც უფრო ახლოა ნათესაობა, იმდენათ უფრო დაახლოებულნი და მაგარი ერთობა აქვთ ერთმანეთთან. ამ ნათესაობას ან როგორც ეტყვიან მკვიდრობას ელემენტებშიაც შენიშნავს კაცი, თუმცა უსულონი არიან. მლემენტებსაც აქვთ მკვიდრობა და იქნება კაცებზედაც უფრო ძლიერი. თუ რომელიმე ელემენტი მეორესთან შეერთებულა და ამ დროს მესამე ელემენტი მიახლოვდება, რომელსაც უფრო დიდი მკვიდრობა აქვს ერთ იმათგანთან, ვინამც იმ ორს ერთმანეთში, მაშინ ისინი იმ წამსვე გაიყრებიან და უფრო მკვიდრნი დახორცილებიან ერთმანეთთან; ესენი იქმნებიან ასე სანამდის არ

მოვა მეოთხე ახალი ელემენტი, უფრო მკვიდრი, რომელიც იმათ ვაჟურეს და უცხოეთთან დახორციება რომელსამეზე.

მაგალითად ავილოთ ვერცხლის წყალი, როგორი და იქვე რკინა. მერცხლის წყალი და როგორი არაოდეს ერთმანეთთან არ დახორცილება, რადგან როგორც რკინასთან უფრო დაახლოებული მკვიდრობა აქვს, როგორი შეეყრის რკინას და ვერცხლის წყალი დარჩება ისე ობლათ ვიდრე თავის მომკვიდრეს არ იპოვნის. ამავე გეგარს მკვიდრობას შენიშნავთ არამც თუ მარტივ სხეულებში მარტო, არამედ რთულ სხეულებს შუაც. მაგალითად, ავილოთ ნაცარტუტის მარილი, რომელიც ნაცარწმულია. შევლამ იცის, რომ ამ ნაცარტუტის მარილისაგან და ქონისგან საბონს აკეთებენ. ნაცარტუტის მარილი, ანუ კალაქვა გარეგანი სახით მარილს ჰგავს. ის ყოველთვის თავის მომკვიდრე ნახშირძმართან იმყოფება შეკრული. მა თუ წყალში გახსნილს კალაქვას ოდნა ძმარს მიუმატებ, მაშინ ნაცარწმულიდან ქაფი აღინდება. ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ძმარს ანუ ძმარძმარს კიდევ უფრო დაახლოებულნი მკვიდრობა აქვს კალაქვასთან, ვინამც ნახშირძმარს. იმან ძალა უნებურათ უნდა დაუთმოს თავისი ალავი ძმარს და თვითონ გამოადეს. აი, ამისთვისაც ის ამოდის წყრილმან ბუშტებთან ნაცარწმულიდან და ზევით ქაფს აკეთებს.

* *

როდესაც ორისამი ერთად შეგროვილ ელემენტებისგან კეთდება ახალი სხეული, მაშინ აი, როგორ მოხდება ეს ამბავი. მართი ელემენტის ძალიან პაწაწინა ნაწილები შეერევიან მეორე ელემენტის პაწაწინა ნაწილებს ისე, როგორც ქვიშის წინწკლები კირის მტერსა და გამოდის გავი, მაგარი სხეული, რომელიც არც ქვიშა და არც კირი. მაგრამ ელემენტების ნაწილები ხორს სრულებით არ ჰგავან ქვიშის ნაწილებს და კირის მტერს, ამასთვის რომ ყოველი ქვიშის ნაწილი და კირისა თვითონ არიან შემდგარი ელემენტებისგან. აქედან სჩანს, რომ ელემენტის ნაწილები ისე პაწაწინები არიან, რომ თვლით ვერ ხედავს კაცი. მხოლოდ ჩვენ ვიცით რომ ეს ნაწილები უეჭველათ უნდა იყონ ყოველ ელემენტში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ერთი ელემენტი არაოდეს მეორესთან ისე მკვიდროთ არ შე-

ეროდა; მაშინარც იმისთანა სხეული შესდგებოდა, რომელიც არა ჰგავს თავის ელემენტებსა. იგივე მოხდება, როდესაც რთული სხეულები შეერთდებიან ერთად. მაგალითად ავიღოთ შაქრის წყალი, ან მარილის წყალი. შევლამ იცის, რომ ამ წყლების ყოველ წვეთში: ერთში შაქარი და მეორეში მარილი. მაგრამ ვერაინ კი ვერ ხედავს შაქრისა და მარილის ნაწილებს, თუ როგორ არიან წყლის ნაწილებთან შეერთებულნი. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვხედავთ შაქრისა და მარილის ნაწილებს, როდესაც წყალი სტაქნებში სულ ამოშრება, ან ოზშივრათ ავა ჰაერში, მაშინ შაქარი ან მარილი ძირს დასხდებიან სტაქნში. ეს ნაწილები, რომელთაც კაცი თვალთ ვერ ვხედავს, იწოდებიან „ატომებთ“. მაშინა, რომ ყოველი სხეული ბუნებაში; თუნდ თვალში ჩაეარდნაც იყოს, შემდგარია ატომებისაგან, ისე როგორც სახლია აშენებული აგურებისაგან. რა იმით განსხვავდება მხოლოდ რომ აგურებს კაცი თვალთ ხედავს და ატომები ისე პაწაწინები არიან, რომ ვერას კაცის თვალთ ვერ შეინიშნებიან.

ს ა მ ი მ ო ნ ა წ ი ლ ი .

წ ი თ ე ლ ა

წარსულ ნომერში რომ ვილაპარაკეთ, წითელა ყოველთვის ისე ადვილათ არ გაივლის. ზოგჯერ ძალიან გაძნელდება და ამ შემთხვევაში რამდენიმე გეარია ეს ავთომოფობა! ამ ნ თ ე ბ ი წ ი თ ე ლ ა იწყება ჰერჯოლებით და მერე დიდს სიცხეს მისცემს. ამასთანავე მეტად მძიმე ხველა აქვს; ზოგჯერ ნახველი სისხლიანია, მაგარი მაჯა აქვს, ფიცხი კანი, ძალიან წითელი შარდი და მეტის-მეტე წყურვილი. ან მეორეს ან მესამე დღეს გამოფენს წითლათ. ცივებს თან-და თან უმატებს, ამასთან სასულეს, ფილტვების და ზოგჯერ ტუჩების ანთებაც მოსდის. როცა კანის გაძრობის დრო მოვა, თითქმის ერთბაშთ გაძვრება კანი მთელ ტანზე და ცივებას საშინელი ოფლის დენა მოჰყვება; შარდში შავი მიწის ნაირი ხორაში ჩაილეკება. ზოგჯერ ცხვირიდან, ან სხვა ნაწილებიდან დაუწყებს სისხლი დენას.

* *

2, ტ ე ი ნ ი ს წ ი თ ე ლ ა იმას ეწოდება, როცა ამ ავთომოფობის დროს ტუჩის ძაფები მოიშლებიან და ამისგან მოდობა, ცნობის

მიხდა, მანკვა და სხე. ხშირია. ხველა ისეთი საშინელი აქვს, თითქოს ქუნთრუშა, ან დიდი ხველა სჭირდეს. თივე მიძიმეთ აქვს, თუმცა არ ეტყობა, რომ სისხლი ავარდნოდეს. ანა მშრალი და თეთრი აქვს. მაჯა სწორათ ვერ წინამოხრებელი ნიშნები ერთ კვირამდის გასტანს. წითლად გამოფენის წინათ ავთომოფობის მანკვა აუტყდება. ლაქები ისე წითლები არ არიან და ზოგჯერ არც გამოაჩნდებიან. ცივება არამც თუ უკლებს, დაყრის დროს კიდევ გაუძლიერდება. ძანის გაძრობის დრო გვიან დგება და ცივებაც ნელ-ნელა იწყებს კლებას.

* *

მ ყ რ ა ლ ი წ ი თ ე ლ ა . ეს ავთომოფობაც იმის თანა-ნიშნებით იწყება როგორც ტუჩის წითელა, ენაზე მოშავო ლაქი გადაეყრება. ამასთან დაერთვის საშინელი ყვანა (მუცლის ფლარათი). პირში ხავის ეკიდება, ზოგჯერ ემართება ყბა-ყურა ან ხუნავი. შამოშფენს უტბათ დიდს ადგილზე მოჭირებულ წითლად და თითქმის შავ ხორაშიათ დაჰყრის. სისხლი დაიწყებს დენას ცხვირიდან, ფილტვებიდან და ზოგჯერ ნაწილებიდანაც. ხელფეხი უტყდება, ენა შავი და ფიცხი აქვს. ტანზე დაყრილი თითქმის სულ შავდება და ამ დანაყარში წითელი ფორაჯებიც გამოეყრება. მიძინარობა, ბოდვა, გულის წასვლა და მანკვა ხშირათ ემართება. თუ ავთომოფობი გადარჩა, კანის გაძრობის დრო გვიან მოუვა. ამთვარდა კიდევ სამი სხვა და სხვა ნიშნია წითელა:— შ ი ო რ - ა ყ ა რ ი , ჩ ა მ ა ლ უ ლ ი და გ უ ლ ა მ რ ე ე ი . ხშირ-ნაყარი წითელა თუ სჭირს ყმაწვილს, ისეთ ნაირათ გამოფენს, რომ სიწითლე მთელს ტანზე მოედება, მაგრამ ამისთანა წითელა ძვირათ არის, ჩამალული წითელა ისე გაივლის, რომ სრულიად არ დაჰყრის ტანზე, არც ცივებით იწყება. მულამრევი წითელა თუ შეექნა კაცს, იმითი უნდა იცნო, რომ უფემური, უკეთექეთ, მწარე პირი აქვს, გულს ეყრება და ხშირად კიდევ ასაქმებს. ეს ნიშნები ენასც მყრალი წითელა სჭირს, ხშირად იმასაც გამოაჩნდება.

* *

ახლა საჭიროა მოვიხსენოთ ის ნიშნები, რომლებითაც განიჩნება წითელა სხვა ავთომოფობებისაგან. მინც კარგათ არ იცის, ხში-

რად აურგეს წითელას ცუდ-ყვავილასთან ხველასთან და ლაქებიან სახადთან ხველა სულ სხვა ნიშნებით იწყება. სასულეში და ფილტვებში ანთების მაგიერათ შეიყვანა ხველის დროს ყელი გაუსივდება და ნერწყვის კლაპებს უშლის. მისაც რამდენიმე ავთომოფობი უნახავს წითელათი და შეიყვანა ხველთის მაჯაზე და სხვა ნიშნებით ადვილათ შეატყობს, წითელა თუ შეიყვანა. მასაც ხველა სჭირს, მაჯა ხშირად და სტომით უტყვს, კანი უფრო ცხელი აქვს, ენა უფრო უწითლდება და ენის ხაოც დუგამდობდება.

შეიყვანა ხველის დროს თუ გამოჰყარა ტანზე წითლათ, წეროლად კი არ დაჰყრის, როგორც წითელის დროს, გამოფენება დიდ ლაქებით, ფორაჯებით, მთელ ტანზე. როცა კანის გაძრობის დრო მოუვა, ქერტილი ნაფლეთებით სცივია და არა ქატრს მსგავსათ.

სრუ-ყვავილა ფილტვების ანთებით კი არ იწყება, ყელის ტკივილით გამოაჩნდება, როგორც შეიყვანა ხველის დროს. ტანზე დაჰყრის, მაგრამ რიგი არა აქვს იმის გამოყრას და იმისი ლაქები წითელაზე უფრო წითელია. სრუ-ყვავილა როცა გამოფენს, ცივება მაშინვე გაივლის და წითელა თუ არის, მაშინ კი არა. ხორაშიანი-ცხელება წითელი წინწყლებითაც ჰგავს წითელას და როგორც წითელა, ფილტვის ანთებით იწყება, მაგრამ ხორაშიანი-ცხელება პირზე არ დაჰყრის, წითელა კი პირველ პირის სახეზე გამოაჩნდება. ამას უნდა დავუმართო ავრთვი, რომ ხორაშიანი-ცხელება განსაკუთრებით ღიდებს ემართება, მაშინ როდესაც წითელა ყმაწვილების ავთომოფობაა.

* *

წითელა გადამტეხი არ არის. ადრე თუ გვიან უჩნდება იმ ყმაწვილებს, რომელთაც ტანში უღდათ ეს ავთომოფობა, ზოგი ყმაწვილი წითელიანთან რომ დაწინო, მანც არ შეექნება და ზოგს უტყვ თავისით გაუჩნდება. მინც ერთხელ გამოვილილია ამ ავთომოფობაში, იმას მეორეთ აღარ დავმართება. რადგან ზოგიერთი წითელა, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ ძალიან მძიმე სახდელია, ამისთვის ბევრმა კიდევ სცადა აქრა ამა ავთომოფობისა, მაგრამ არა გამოვიდარა, ამისთვის რომ ყველისავეთ წითელას გესლი არა აქვს. წითელა გაჩნდება ყოველ დროს, მაგრამ უფრო ხშირად გამოაჩნდება იცის.

სხვა კანის ავთიპოფობიაზე წითელა უფრო დიდხანს გასტანს. სამ კვირზე აღრე არ მორჩება იმიტომ ავთიპოფი. ზოგიერთს შიშივე სახდელ წითელას სიკვდილი ხშირათ მოსდევს განსაკუთრებით; როდესაც ცუდათ სწამლობენ. უფრო ხშირათ წითელა ადვილ თ გაცილის. მაგრამ ბევრ შემთხვევაში ავთიპოფი სრულად არ მორჩება. წითელა სტოევებს კმაწვილის ტანში ან თვალის ტკივილს, ან ყელის ტკივილს და ცოტა სიგრილემაც რომ შემოკრას, მაშინვე ყელი დაუსივდება. თუ არ ვფთხილდებიან კანის გამძრობის დროს, მაშინ ტანში რჩება რომელიმე ავთიპოფობა და მთელ სიცოცხლეში კვალს დაიხენს. ეს უფრო ხშირათ სასუნთქებელს ორგანოებს დაეტყობა; შილტეების ნელი ანთება, სასულეს, ანუ ყანყათოს ტოტების სიმძინე, მკერდის აბკის ანთება და სხვ. ზოგჯერ ფილტვებზე გამოვების კოკრები, რომლიც გამოკლერკიც გაუჩნდება. წითელას შემდეგ ხშირად თვალები დაუსუსტდება და მხედველობასაც აკლავს. ზოგჯერ განსაკუთრებით ცუდი სახდელი წითელა თუ სჭირება ახალგაზდას, თვალზე თეთრიც გაუჩნდება და ზოგჯერ თვალის საფარი სახედველიანა მოეარდება. თვითონ წითელათი ცოტანი კვდებიან, მაგრამ ცუდათ გამოვლილ წითელიდან ტანი ისე დაზიანდება, რომ უფრო ბევრი გამოვლის შემდეგ კვდება. ზოგჯერ წითელასგან დაზიანებული ფილტვი თან-და-თან იწყებს ხდენას და ყოფილა კიდევ ბევრი იმისთანა შემთხვევა, რომ ათი და ოცი წლის შემდეგ წითელას მოხდისა იმისგან დაზიანებული მოამკედარა.

სხვა და სხვა ავბაი.

დოქტორმა ბლანდიმ სამჯერ შენიშნა მძიმე ძილი ერთი ქალს. ის იყო მალლი და მშვენიერი ქალი ოცდა ოთხი წლისა. პირველ დაძინებაზე ორმოც დღემდის არ გამოუღვიძნია; მაშინ ის იყო შეიღმეტი წლისა. როდესაც ოცი წლის შეიქნა, დოქორწინების შემდეგ მაშინვე დაიძინა და ორმოცდა ათ დღემდის არ გამოუღვიძნია. ძლის დროს ის

იყო უგრძობელი და სრულებით არ ჰქონდა მოძრაობა. ასობები ისე გაშვებული ჰქონდა, რომ რამდენიმე კოეზი ჩიხის ჩასახმელათ, მეტი გზა არ იყო, კბილი უნდა ამოეცრო. ბოლოს მესამეთ დაიძინა ოთხი წლის შემდეგ 1862 წელს და ცინა მთელი წელიწადი გამოეღვიძა მეორე წელიწადს მარტში 1863 წელს დროს განმავლობაში ერთხელ გამოეღვიძა მერე დღეს შემდეგ დაძინებისა, ჩაიდა თავის დედ-მამასთან დაჯდა სუფრახე სადილის საქმელათ და როგორც გაათავა სადილი, მაშინვე გადავარდა სკამიდან და ისევ ძილს მიეცა. მრავალი სხვა დოქტორებიც ამოწმებენ ამ ავბას. რომელნიც იქ დასწრებიან.

მთელი წლის განმავლობაში სიცოცხლე არაფერში ეტყობოდა, მხოლოდ უცემდა მჯავა ძალიან ნელა და სუნთქეა თითქმის სულ შეწყვეტოდა, კარში არ გადიოდა მუდამ მშენიერი ფერი და ახალი კანი ჰქონდა პირის სახეზე. არც პირზე მოუტლია, მხოლოდ მგრძობელობა ჰქონდა დაკარგული და გაშვებული იყო. მიზეზი ამისთანა ძილისა სწავლულებს ჯერ ვერ შეუტყვიათ.

მახმამარი ძარღვის გაცოცხლება. მართა მერმანის სწავლულმა მოიგონა ისეთი საშუალება, რომლითაც გამხმარი ძარღვი დელიათ გაცოცხლდება. საზოგადოთ გამხმარი ძარღვი თეთრი ფერის არის; ხელი თუ შეახებ, ხმელია, და მალე დაიხსნება; — ლეშათ იქცევა.

აი, როგორ სცილან ამ შენიშნულებას. მაყყს შეუტყრენ დიდს მფეთქავს ძარღეს სტომაქს ქვეით, იმ განზრახვით რომ სისხლი აღრ ეძლიოს უყანუფებს. მერე ამ ფენებს გასტყეებენ, ჩადებენ თბილ წყალში, მანამ ისე არ გახმება, რომ მოხარშულს არ დემხავებს; მერე ამოადებენ და ფეხები გამხმარი ჯოხის წაირათ გადაიქცევა. ამ გვართა გამხმარს ცალფეხს ჩასდებენ მარილიან წყალში. მართი წონა მარილი ათ წონა წყალში უნდა იყოს გამდნარი. რამდენსამე მინუტს შემდეგ ეს ფეხი იმგვართ დარ-

ბილდება, თითქოს ცოცხალი იყოს. ცოცხლათ წითელ ფერსაც დაიხმებს. შერკეშესთან მფეთქავს ძარღეს და ჩაუშვებენ სისხლს ორივე ფეხებში. რომელი ფეხიც მარილიანი წყლით იყო დახელილი თან-და-თან იწყებს გაცოცხლებას და რამდენსამე ხანს შემდეგ ბაყყი ისე დაიწყებს იმის ხმარებას, თითქოს თავის დღეშიაც არ სტყენდეს. მეორე ფეხი, რომელიც არ იყო მარილიან წყალში დახელილი, აღარ გაცოცხლდება და ცოცხანს შემდეგ ლეშათ გარდაიქცევა.

ამ გამოძიების შემდეგ მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ ადრე თუ გვიან არამც თუ ბაყყის გამხმარი ასობების გაცოცხლება შეიძლება, არამც სხვა ცხოველების და კაცის გამხმარს ასობესაც გაანდლებენო.

ძალადის კეთება ჩალისაგან. მამანი და რუეზი უზრალო ჩალას ათეთრებენ, მერე აქცევენ ცომათ და გამოპყავთ, ჩინებული ქალადი.

ისინი ჰყრიან დიდქებაში ერთ ფუტს კირს, ერთ ფუტს ნაცარ-ტუტის მარილს და ათ გირეჩა მარილს. ჩაასხამენ საკმაოთ წყალს და ოზშივრით აღუღებენ სანამდის ისინი სულ არ გაიხსნება. წყალში, მერე ჩადებენ შებნუთ ფუტს ჩალას და კიდევ აღუღებენ ოზშივრით შებნუთ. საათ ნახევარს; შემდეგ უხმობენ ქლორს (ფთეჟაში იკითხე), რომ გათეთრდეს, ხელმოვრეთ აღუღებენ ამნაირთ მომზადებულს ჩალის ცომათ ან შეურყვენ ძონძის ცომათ, ან და მარტო იმისგან გააკეთებენ ქალადს.

გიპლიოგრაფიული განცხადება.

ისეილება თფილისში მინფანჯანის წიგნის მალაზიაში:

საქართველოს ისტორია,

თიმოფრას ბატონიშვილისა დაბეჭდილი პეტერბურღს, 1848 წ. 18 1/2 თაბახი, 8 1/2

უასი ერთი მანეთი.